ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2371122

ნომერი: AR1366688

თარიღი : 24.12.2015

გაცემის თარიღი : 04.01.2016

გაცნობის თარიღი : 04.01.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი III , კვარტალი II , მე-16 კორპუსის მიმდებარედ (ნაკვეთი 11/030);

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზ მგელაძე პ/ნ 61006006120
- დ. ხელვაჩაური დ.აღმაშენებლის ქ. N 46 ბ. 33

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის – სსიპქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1366688 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.17.07.011.030) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
თქვენს მიერ ინტერაქტიულ რუკაზე მონიშნული ტერიტორია დღეის მდგომარეობით წარმოადგენს საერთო სარგებლობის საზოგადოებრივ სივრცეს. რომელიც ასევე მდებარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით მოშენებულ სისტემურად ჩამოყალიბებულ განაშენიანებაში.
ასევე მოგახსენებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებული ტერიტორია, თავისი ფართობით, ადგილმდებარეობით და კონფიგრაციით წარმოადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განსათავსებლად შეუსაბამო მიწის ნაკვეთს, ვინაიდან, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესაბამისი ინფრასტრუქტურით (მაგ. გამწვანება, ბავშვთა სათამაშო მოედანი, ღია ავტოსადგომი, მისასვლელი გზები და ას. შ). ყოველივე ზემოთ თქმულიდან, ასევე ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური, მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- კიდამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge